საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1488 2022 წლის 15 აგვისტო ქ. თბილისი

„საპილოტე პროგრამის ქალებისთვის“ დამტკიცების შესახებ

1. „ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოსა და გაეროს ქალთა ორგანიზაციას – UN Women-ს შორის გასაფორმებელი საგრანტო ხელშეკრულების „პარტნიორობის შეთანხმების“ თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 24 ივნისის №1148 განკარგულების საფუძველზე გაფორმებული პარტნიორობის ხელშეკრულების ფარგლებში დამტკიცდეს თანდართული „საპილოტე პროგრამა ქალებისთვის“.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული „საპილოტე პროგრამის ქალებისთვის“ განხორციელების მიზნით:

ა) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უზრუნველყოს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო დაფინანსების არა უმეტეს 60 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხის ეროვნულ ვალუტაში მოძიება;

ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს

კანონით გათვალისწინებული პროგრამული კოდის (31 05 – ერთიანი აგროპროექტი) ფარგლებში შესაბამისი პროგრამული კლასიფიკაციის კოდის დამატება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

დამტკიცებულია
საქართველოს მთავრობის
2022 წლის 15 აგვისტოს
№ 1488 განკარგულებით

საპილოტე პროგრამა ქალებისთვის

მუხლი 1. პროგრამის მიზანი და ამოცანები

1. საპილოტე პროგრამის ქალებისთვის (შემდგომში – პროგრამა) მიზანია, საპილოტე მუნიციპალიტეტებში ეკონომიკურად არააქტიური ქალების ინტეგრაცია საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად, მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ქალების სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართვის სტიმულირების გზით.

2. პროგრამის ამოცანას წარმოადგენს, მარნეულისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში ახალი სასათბურე მეურნეობის მოსაწყობად პოტენციური ქალი ბენეფიციარების ფინანსური და ტექნიკური დახმარება.

მუხლი 2 . პროგრამის განმახორციელებელი

1. პროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).

2. პროგრამის განხორციელებას კოორდინაციას უწევს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო) და გაეროს ქალთა ორგანიზაცია – UN Women (შემდგომში – დონორი).

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ა) **პოტენციური ბენეფიციარი** – საქართველოს მოქალაქე, სრულწლოვანი, არა უმეტეს 60 წლის ასაკის ქალი, რომელსაც საკუთრებაში

ან/და თანსაკუთრებაში აქვს სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული დაზუსტებული ან/და დაუზუსტებელი ფართის მიწის ნაკვეთ(ებ)ი;

ბ) **ბენეფიციარი** – საქართველოს მოქალაქე, სრულწლოვანი, არა უმეტეს 60 წლის ასაკის ქალი, რომელსაც საკუთრებაში ან/და თანასაკუთრებაში აქვს სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული დაზუსტებული ან/და დაუზუსტებელი ფართის მიწის ნაკვეთ(ებ)ი და რომელთანაც პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია ხელშეკრულება;

გ) **ხელშეკრულება** – სააგენტოსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული თანადაფინანსების ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის ფარგლებში მხარეთა მიერ შესასრულებელ ვალდებულებებს;

დ) **თანადაფინანსება** – პროგრამის ფარგლებში სააგენტოს ან/და დონორის მიერ ბენეფიციარზე გაცემული ფულადი სახსრები;

ე) **საგრანტო დაფინანსება** – პოტენციური ბენეფიციარის მიერ მიღებული/მისაღები დაფინანსება, დონორი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული პროგრამ(ებ)ის ფარგლებში, რომლის დაფინანსების რესურსს არ წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი.

მუხლი 4. პროგრამის პოტენციური ბენეფიციარის შერჩევის კრიტერიუმები

1. პოტენციურ ბენეფიციარს განკარგულების ძალაში შესვლის თარიღისთვის უნდა ჰქონდეს სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მის საკუთრებად ან/და თანასაკუთრებად რეგისტრირებული ჯამურად არა უმეტეს 5 000 კვ/მ მიწის ნაკვეთ(ებ)ი, ან/და ამ განკარგულების ძალაში შესვლის შემდგომ განახორციელებს მიწის ნაკვეთ(ებ)ის პირველად რეგისტრაციას ან ინფორმაციის იმ სახის დაზუსტებას, რომლითაც იდენტიფიცირებადი გახდება, აკმაყოფილებს თუ არა პირი პროგრამის პოტენციური ბენეფიციარის შერჩევის კრიტერიუმებს.

2. პოტენციური ბენეფიციარების განაცხადების განხილვის დროს პრიორიტეტი მიენიჭება იმ პოტენციურ ბენეფიციარს, რომელსაც:

ა) აქვს სოციალურად დაუცველის სტატუსი;

ბ) ჰყავს არასრულწლოვანი შვილ(ებ)ი;

გ) შემოტანილი აქვს განაცხადი ყველაზე ადრე.

მუხლი 5. პროგრამის პირობები და თანადაფინანსება

1. პროგრამა ითვალისწინებს პოტენციური ბენეფიციარებისათვის მიზნობრივი ფულადი დახმარების გამოყოფას თანადაფინანსების სახით, სასათბურე მეურნეობის მოწყობის მიზნით.

2. ბენეფიციარის თანადაფინანსება განისაზღვრება სასათბურე მეურნეობის მოწყობის ღირებულების არა უმეტეს 90%-ით, მაგრამ არა უმეტეს 25 000 ლარით.

3. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება არანაკლებ 200 კვ/მ ფართის მქონე სასათბურე მეურნეობა.

4. პროგრამის ბენეფიციარი ვალდებულია, დარეგისტრირდეს „ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტის“ ფარგლებში წარმოებულ რეესტრში.

მუხლი 6. წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა

პროგრამაში მონაწილეობის მიზნით, პოტენციურმა ბენეფიციარმა სააგენტოში უნდა წარადგინოს:

ა) პოტენციური ბენეფიციარის ან/და უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ამონაწერი სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან მიწის ნაკვეთის საკუთრებაში/თანასაკუთრებაში ფლობის შესახებ;

გ) სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა (განკარგულების ძალაში შესვლის თარიღისთვის) პოტენციური ბენეფიციარის საკუთრებაში/თანასაკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ჯამური ფართობის შესახებ;

დ) თანამონაწილეობის თანხის დამადასტურებელი დოკუმენტი – ცნობა საფინანსო ინსტიტუტიდან შესაბამისი თანხის ანგარიშზე არსებობის შესახებ ან/და ცნობა საფინანსო ინსტიტუტიდან კრედიტის დამტკიცების შესახებ;

ე) სააგენტოს მიერ მოთხოვნილი სხვა დოკუმენტაცია.

მუხლი 7. ბენეფიციარის შესასრულებელი ვალდებულება

ბენეფიციარი ვალდებულია, სასათბურე მეურნეობის მოწყობიდან 2 წლის განმავლობაში:

ა) არ გაასხვისოს სასათბურე მეურნეობა;

ბ) შეინარჩუნოს სასათბურე მეურნეობის პროფილი.

მუხლი 8. განაცხადების მიღებისა და თანადაფინანსების გაცემის პროცედურა

პოტენციური ბენეფიციარების განაცხადების მიღებისა და თანადაფინანსების გაცემის დეტალურ პროცედურას შეიმუშავებს და ამტკიცებს სააგენტო.

მუხლი 9. პროგრამის ტექნიკური დახმარება

1. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებს გაეწევათ ტექნიკური დახმარება.

2. ტექნიკური დახმარების ფარგლებში ბენეფიციარებს ჩაუტარდებათ თეორიული კურსი სასათბურე მეურნეობის მართვასა და სპეციფიკური კულტურების მოვლაზე და პრაქტიკული ტრენინგები განსაზღვრული კულტურებისათვის.

3. ტექნიკური დახმარების ფარგლებში ცოდნის მიღების მიზნით, ფინანსური დახმარების მიღებამდე, პოტენციურ ბენეფიციარებს ჩაუტარდებათ თეორიული ტრენინგები, ხოლო დაფინანსების მიღების შემდეგ პრაქტიკული ტრენინგები.

4. ბენეფიციარისათვის ტრენინგებში მონაწილეობის მიღება იქნება სავალდებულო.

5. პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ ბენეფიციარებს გადაეცემათ პროგრამით გათვალისწინებული კულტურების აგროტექნოლოგიური რუკა, რომელსაც შეიმუშავებს სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი.

მუხლი 10. პროგრამის მონიტორინგი და შეფასება

1. სააგენტო უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, საკუთარი შეხედულებისამებრ, განახორციელოს პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული სასათბურე მეურნეობების საველე და დოკუმენტური მონიტორინგი.

2. პროგრამის შედეგების მონიტორინგსა და შეფასებას განახორციელებს გაეროს ქალთა ორგანიზაცია.

მუხლი 11. პროგრამის განხორციელების გეოგრაფიული არეალი

პროგრამა განხორციელდება მარნეულისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში.